დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური

OFFICE OF INDEPENDENT INSPECTOR

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის
2022 წლის საქმიანობის ანგარიში

თბილისი
2023

შინაარსი

შესავალი....4
1. დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის სტატისტიკური ანალიზი....5
1.1. ზოგადი სტატისტიკური ინფორმაცია....5
1.2. სტატისტიკური ინფორმაცია საჩივრის ავტორთა შესახებ....6
1.3. სტატისტიკური ინფორმაცია საქმეთა კატეგორიების შესაბამისად....7
1.4. სტატისტიკური ინფორმაცია სასამართლო ინსტანციების შესაბამისად....8
1.5. სტატისტიკური ინფორმაცია მოსამართლეთა შესაბამისად....9
2. სტატისტიკური ინფორმაცია წინასწარი მოკვლევის შედეგების შესახებ....10
2.1. სტატისტიკური ინფორმაცია დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ....10
2.2. სტატისტიკური ინფორმაცია მომზადებული დასკვნების შესახებ....11
2.3. სტატისტიკური ინფორმაცია სადისციპლინო სხდომების შედეგების შესახებ....12
3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნების განზოგადება....13
3.1. საპროცესო ვადის არსებითი დარღვევა....15
3.2. მნიშვნელოვანი საქმეები....18
4. დამოუკიდებელი ინსპექტორის გადაწყვეტილებების განზოგადება....22
5. დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2022-2024 წლების სტრატეგიული განვითარების ძირითადი მიმართულებების შესრულების პროგრესის ანგარიში და სამომავლო გეგმები....24
6. რეკომენდაციები....27

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia
COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE
ევროპის საბჭო
დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური

წინამდებარე ანგარიში შედგენილია ევროპის საბჭოს პროექტის - „სასამართლო რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ დახმარებით, რომელიც თანადაფინანსებულია ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს მიერ, „პარტნიორობა კარგი მმართველობისათვის“ (PGG II) ფარგლებში. ანგარიშზე მუშაობდნენ დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის აპარატის პრაქტიკანტები (ეროვნული შეჯიბრის „სამოსამართლო ქცევა და დისციპლინა“ ფინალისტები).

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური მადლობას უხდის ანგარიშის შექმნაში მონაწილე ყველა პირს გაწეული შრომისათვის, ხოლო ევროპის საბჭოს პროექტს - მხარდაჭერისათვის.

შესავალი

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისთვის უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში 2022 წელი განსაკუთრებით დატვირთული იყო მიღებული საჩივრებისა თუ მომზადებული დასკვნების რაოდენობის გათვალისწინებით, რადგანაც ბოლო სამი წლის განმავლობაში საჩივართა ყველაზე დიდი რაოდენობა დაფიქსირდა.

მნიშვნელოვანია, რომ გასული წლების მაჩვენებელთან შედარებით 6%-ით შემცირდა იმ საჩივრების რაოდენობა, რომელიც აქტის კანონიერების ზედამხედველობას შეეხებოდა და შეადგინა 36%. აღნიშნული ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს სამსახურის მიერ ცნობიერების მიზნით განხორციელებული აქტივობების ეფექტურობაზე. ამასთან, აქტიური იყო დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის ცხელი ხაზი, სადაც ჯამში 200-ზე მეტი ზარი განხორციელდა.

აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებელმა ინსპექტორმა დაამტკიცა დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2022-2024 წლების სტრატეგია, რომლის საფუძველზეც გაიწერა აქტივობები და მათი შესრულება 2022 წელსვე დაიწყო.

დისციპლინურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცნობიერების და დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის შესახებ ცნობადობის გაზრდის მიზნით განხორციელდა არაერთი ღონისძიება, კერძოდ:

- დამოუკიდებელმა ინსპექტორმა ზურაბ აზნაურაშვილმა მონაწილეობა მიიღო რადიო კომერსანტის გადაცემაში „ბიზნესი და სამართალი ნინო ლიპარტიასთან ერთად“;
- სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის ჩატარდა 6 საჯარო ლექცია;
- ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისისა და სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მხარდაჭერით ჩატარდა ყოველწლიური ეროვნული შეჯიბრი „სამოსამართლო ქცევა და დისციპლინა“, რომელიც მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის სიმულაციას წარმოადგენს. მასში მონაწილეობა სხვადასხვა უნივერსიტეტის 25-მა გუნდმა მიიღო.

წინამდებარე ანგარიშში ასახულია დეტალური ინფორმაცია არა მხოლოდ ზემოაღნიშნული აქტივობების შესახებ, არამედ წარმოდგენილია დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2022 წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის სრული ინფორმაცია.

ანგარიში ხუთი თავისგან შედგება. პირველ და მეორე თავებში წარმოდგენილია დისციპლინური სამართალწარმოების სტატისტიკურ ანალიზი, სადაც ყურადღება გამახვილებულია, როგორც შემოსულ საჩივრებზე, ისე წინასწარი მოკვლევის შედეგებზე. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნები გადაცდომის სახეების შესაბამისად განზოგადებულია მესამე თავში, სადაც ყურადღება გამახვილებულია იმ მნიშვნელოვან საქმეებზე, რომლებიც საინტერესოა დისციპლინურ გადაცდომათა პრევენციისათვის. მეოთხე თავში განზოგადებულია დამოუკიდებელი ინსპექტორის გადაწყვეტილებები, რომლებიც კანონიერებაზე ზედამხედველობის დაუშვებლობის საფუძვლით შეწყდა. ხოლო, სამსახურის 2022-2024 წლების სტრატეგიული განვითარების ძირითადი მიმართულებების შესრულების პროგრესის ანგარიში წარმოდგენილია ანგარიშის მეხუთე თავში.

ამასთან, როგორც გასული წლების ანგარიშები, ისე, 2022 წლის ანგარიშში დასკვნის სახით წარმოდგენილია ის რეკომენდაციები, რომლებიც სამსახურის საქმიანობის პროცესში გამოიკვეთა და მნიშვნელოვანია დისციპლინური სამართალწარმოების ეფექტიანობის გაზრდისათვის.

1. დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის სტატისტიკური ანალიზი

1.1. ზოგადი სტატისტიკური ინფორმაცია

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში 2022 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით განსახილველად 205 დისციპლინური საჩივარი და 125 ფორმის დაუცველი წერილი დარეგისტრირდა.





2022 წელს შემოსული საჩივრების რაოდენობა 2021 წელთან შედარებით გაიზარდა 24%-ით. დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მიერ საჩივრების შესწავლის მიზნით, გაიგზავნა 458 წერილი და გამოთხოვილია წინასწარი მოკვლევისათვის საჭირო შესაბამისი ინფორმაცია.

საანგარიშო პერიოდში, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის ცხელ ხაზზე შემოვიდა 200-ზე მეტი ზარი. ყველა მათგანს დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურებთან დაკავშირებით მიეწოდათ ინფორმაცია.

1.2. სტატისტიკური ინფორმაცია საჩივრის ავტორთა შესახებ

საჩივრის ავტორთა შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია დამუშავებულია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში მითითებული ჩამონათვალის გათვალისწინებით და სასამართლოში მიმდინარე საქმეებში მათი სტატუსის შესაბამისად.[1] გასულ წელთან შედარებით მხარეთა მიერ წარმოდგენილი საჩივრების რაოდენობის პროცენტული მაჩვენებელი შემცირდა 5%-ით, 8%-ით გაიზარდა წარმომადგენელთა საჩივრების რაოდენობა, ხოლო 2%-ით შემცირდა სახალხო დამცველის მომართვიანობა. ამასთან, დაინტერესებულ პირთა მიერ წარმოდგენილი საჩივრების რაოდენობა გასული წლის მაჩვენებელზე 1%-ით მეტია.

საანგარიშო პერიოდში დისციპლინური სამართალწარმოება არ დაწყებულა საგამოძიებო ორგანოების შეტყობინების, მოხსენებითი ბარათისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე.





[1] საჩივრის ავტორებს წარმოადგენენ: მხარეები, წარმომადგენლები (კანონიერი წარმომადგენლები, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირები, ადვოკატები), დაინტერესებული პირები (საქმეში მონაწილე მხარის ოჯახის წევრი, სხდომაზე დამსწრე ან ნებისმიერი სხვა პირი), სახალხო დამცველი. ასევე, დისციპლინური სამართალწარმოება შეიძლება დაიწყოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გავრცელებული ინფორმაციისა და მოხსენებითი ბარათების საფუძველზე.

1.3. სტატისტიკური ინფორმაცია საქმეთა კატეგორიების შესაბამისად

საქმეთა კატეგორიების მიხედვით, როგორც გასულ, ისე მიმდინარე წელს, საჩივრების უმრავლესობა სამოქალაქო სამართლის საქმეებს შეეხება და მისი პროცენტული მაჩვენებელი 51%-ს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი იდენტურია 2021 წლის მონაცემებისა. ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე მომართვიანობის მაჩვენებელი 11%-ით მეტია გასული წლის მაჩვენებელთან შედარებით, ხოლო სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებული საჩივრების რაოდენობა შემცირდა 11%-ით.





1.4. სტატისტიკური ინფორმაცია სასამართლო ინსტანციების შესაბამისად

საქმეთა განზოგადების შედეგად დადგინდა, რომ პირველი ინსტანციის მოსამართლეების მიმართ წარმოდგენილი საჩივრების რაოდენობა გასული წლის მაჩვენებელთან შედარებით 4%-ით გაიზარდა და 83% შეადგინა. სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ მიღებული საჩივრების რაოდენობა 1%-ით შემცირდა და 12%-ია. ხოლო, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების მიმართ მიღებული საჩივრების რაოდენობა 3%-ით შემცირდა და 5% შეადგენა.





1.5. სტატისტიკური ინფორმაცია მოსამართლეთა შესაბამისად

საანგარიშო პერიოდში წინასწარი მოკვლევისათვის წარმოებაში არსებული 205 საჩივარი შეეხებოდა 192 მოსამართლეს.[2]

მოსამართლეთა მიმართ წარმოდგენილი საჩივრების რაოდენობა სასამართლო ინსტანციებისა და საქმეთა კატეგორიების შესაბამისად შემდეგნაირად ნაწილდება:

მოსამართლეთა რაოდენობა ინსტანციებისა და საქმეთა კატეგორიების შესაბამისად



შემოსული საჩივრებისა და მათში მოსამართლეთა შესახებ ასახული მონაცემების თანახმად, ყველაზე მეტი საჩივარი პირველი ინსტანციის სასამართლოების სამოქალაქო საქმეთა განმხილველ მოსამართლეთა მიმართ იყო წარმოდგენილი, რამაც პირველი ინსტანციის მოსამართლეთა მიმართ არსებული საჩივრების 50%-ი შეადგინა. მეორე ინსტანციის სასამართლოების სამოქალაქო საქმეთა განმხილველ მოსამართლეთა მიმართ წარმოდგენილი საჩივრების რაოდენობამ სააპელაციო ინსტანციის მოსამართლეთა საერთო რაოდენობის 58% შეადგინა, რაც 25%-ით მეტია ამავე ინსტანციის ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა განმხილველ მოსამართლეთა მიმართ წარმოდგენილი საჩივრების რაოდენობაზე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლეთა მიმართ წარმოდგენილი საჩივრების რაოდენობამ მესამე ინსტანციის მოსამართლეთა მიმართ წარმოდგენილი საჩივრების რაოდენობის 55% შეადგინა, ადმინისტრაციული სამართლის განმხილველ მოსამართლეთა მიმართ წარმოდგენილი საჩივრების რაოდენობამ - 27%, ხოლო ამავე ინსტანციის სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველ მოსამართლეთა მიმართ - 18%.

საანგარიშო პერიოდში წარმოდგენილი ერთი საჩივარი შეეხებოდა როგორც სამოქალაქო, ისე ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეს. ხოლო, ერთი საჩივარი რომელიც წარმოდგენილი იყო რაიონული სასამართლოს მოსამართლის მიმართ არცერთი კატეგორიის საქმეს არ შეეხებოდა.

[2] აღსანიშნავია, რომ რაიონული სასამართლოების ზოგიერთი მოსამართლე ორი ან სამი კატეგორიის საქმეს განიხილავს. ამასთან, რიგ შემთხვევებში მოსამართლეთა მიმართ რამდენიმე საჩივარია წარმოდგენილი. შესაბამისად, შემოსული საჩივრებისა და საქმეთა კატეგორიებში მოსამართლეთა რაოდენობა განსხვავებულია.

2. სტატისტიკური ინფორმაცია წინასწარი მოკვლევის შედეგების შესახებ

საანგარიშო პერიოდში დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში განსახილველად წარდგენილი იყო 221 საჩივარი,[3] საიდანაც მოსამართლეთა ვინაობის დაზუსტების მიზნით, ხარვეზი[4] დადგინდა მხოლოდ 1 საჩივარზე. ხარვეზის შევსების შედეგად აღნიშნულ საჩივრებზე დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და საქმის გარემოებების წინასწარი მოკვლევა.

ამასთან, დისციპლინურ სამართალწარმოების დაწყებაზე მხარეს უარი ეთქვა:

- ✓ 5 საჩივარზე, 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო;
- ✓ 1 საჩივარზე მოსამართლისათვის სამოსამართლო უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლით.

ამდენად, 2022 წელს დიციპლინური სამართალწარმოება დაიწყო 215 საჩივრის საფუძველზე, ხოლო დასრულდა 206 საჩივარზე. დისციპლინური სამართალწარმოება არ დასრულებულა 2022 წელს მიღებულ 14 საჩივარზე.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში დამოუკიდებელ ინსპექტორს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის საქმის პროკურატურაში გადაგზავნის ინიციატივით არ მიუმართავს.

2.1. სტატისტიკური ინფორმაცია დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ

წინასწარი მოკვლევის შედეგად დამოუკიდებელმა ინსპექტორმა მიიღო მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმისა ან მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ 87 გადაწყვეტილება, კერძოდ:

- ✓ 3 გადაწყვეტილება დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის შესახებ, ვინაიდან საჩივარი წარმოდგენილი იყო პირის მიმართ, რომელიც არ წარმოადგენს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ სუბიექტს;
- ✓ 4 გადაწყვეტილება დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლისთვის სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო;
- ✓ 6 გადაწყვეტილება დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, ვინაიდან საჩივარი წარმოდგენილი იყო დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებისათვის დადგენილი ვადის დარღვევით;
- ✓ 74 გადაწყვეტილება დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, ვინაიდან საჩივარი მოსამართლეთა მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას შეეხებოდა.[5]

ასევე, ამავე პერიოდში 2019 წელს მომზადებული დასკვნების საფუძველზე დამოუკიდებელმა ინსპექტორმა მიიღო დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის 6 გადაწყვეტილება, კერძოდ:

---

[3] მათ შორის, დისციპლინური სამართალწარმოება მიმდინარეობდა 2021 წელს მიღებულ 16 საჩივარზე, რომელზეც წინასწარი მოკვლევა დასრულდა 2022 წელს. ამდენად, საანგარიშო პერიოდში დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში განსახილველად წარდგენილი იყო 2021 წლის 16 და 2022 წლის 205 საჩივარზე.

[4] „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „თუ საჩივარში მითითებული არ არის მოსამართლის ვინაობა, საქმე ან/და დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტი, დამოუკიდებელი ინსპექტორი საჩივრის ავტორს დაუდგენს ხარვეზს და მის აღმოსაფხვრელად განუსაზღვრავს არაუმეტეს 5-დღიან ვადას. ხარვეზის აღნიშნულ ვადაში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში საჩივარი (განცხადება) არ განიხილება“.

[5] 74 გადაწყვეტილებიდან, დისციპლინური სამართალწარმოება მხოლოდ აქტის კანონიერებაზე მითითების საფუძვლით შეწყდა 44 შემთხვევაში. 30 შემთხვევაში დისციპლინური სამართალწარმოების „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ნაწილობრივ შეწყდა, ვინაიდან საჩივრებში მითითებული მოთხოვნების ნაწილი მოსამართლეთა მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას შეეხებოდა, ხოლო სავარაუდო გადაცდომებზე კანონით დადგენილი წესით მიმდინარეობს დისციპლინური სამართალწარმოება და საქმის გარემოებების წინასწარი მოკვლევა ან მომზადებულია შესაბამისი დასკვნები.

- 1 გადაწყვეტილება სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ამოწურვის გამო;
- 5 გადაწყვეტილება დისციპლინური სამართალწარმოების ხანდაზმულობის ვადის ამოწურვის გამო.

უნდა აღინიშნოს, რომ 2022 წელს მიღებული გადაწყვეტილებების (აქტის კანონიერების საფუძვლით სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტილი) მაჩვენებელი გასულ წელთან შედარებით შემცირდა 6%-ით (42%-დან 36%-მდე). ამდენად, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მიერ მოსამართლეთა მიმართ დისციპლინურ სამართალწარმოების შესახებ ცნობიერების გაზრდისაკენ მიმართული აქტივობები შედეგიანია, რაც ზრდის სამსახურის ეფექტიანობას. აღნიშნული შედეგის გამყარების მიზნით სამსახური კვლავ განაგრძობს სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელენას.

2.2. სტატისტიკური ინფორმაცია მომზადებული დასკვნების შესახებ

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურმა დისციპლინური საქმის მოკვლევის მიზნით გამოითხოვა საქმის მასალები, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები, გამოკითხა საჩივრის ავტორები და მოიძია სხვადასხვა სახის წერილობითი მტკიცებულება (მაგ. ინფორმაცია სხდომის განრიგის შესახებ, მოსამართლეთა ქონებრივი დეკლარაცია, შეისწავლა სტატისტიკური მონაცემები და ა.შ).

საანგარიშო პერიოდში დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი მოკვლევის შედეგად 164 საჩივარზე მომზადდა 146 დასკვნა[6] 114 მოსამართლის მიმართ.[7] მნიშვნელოვანია, რომ საანგარიშო პერიოდში დამოუკიდებელმა ინსპექტორმა მოკვლევა დაასრულა და დასკვნა მოამზადა მიღებული საჩივრების 92%-ზე, რაც მეტია გასული წლის მაჩვენებელთან შედარებით.[8] ამასთან, წინასწარი შემოწმებისათვის კანონით დადგენილი 1 თვიანი ვადა 2 კვირით გაგრძელდა 7 საჩივარზე.

აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებელი ინსპექტორის აცილების უფლებით არცერთ მოსამართლეს არ უსარგებლია, ისევე როგორც თვითაცილების უფლება დამოუკიდებელ ინსპექტორს არ გამოუყენებია.



[6] წინასწარი შემოწმებისათვის დადგენილი ვადის ფარგლებში, ერთი მოსამართლის მიმართ იდენტური საფუძვლით წარდგენილი რამოდენიმე საჩივარი დამოუკიდებელი ინსპექტორის გადაწყვეტილებით გაერთიანდა ერთ წარმოებად და მომზადდა ერთი დასკვნა, ამდენად აღნიშნული არ არის გათვალისწინებული მომზადებული დასკვნების რაოდენობაში, თუმცა, ასახულია დასრულებული საჩივრების რაოდენობაში. მითითებული დასკვნები (146) არის მხოლოდ 2022 წელს მიღებულ საჩივრებზე მომზადებული დასკვნების რაოდენობა.

[7] მოსამართლეთა რაოდენობა დათვლილია კონკრეტულ საჩივარში მათ მიერ განხილულ/განსახილველ საქმეთა კატეგორიისა თუ სასამართლო ინსტანციის შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მოსამართლე ორი ან სამი კატეგორიის საქმეს განიხილავს. ამასთან, რიგ შემთხვევებში, მოსამართლეთა მიმართ რამდენიმე საჩივარია წარმოდგენილი. მოსამართლეთა სხვადასხვა ინსტანციაში გადასვლის გამო მათი საერთო რაოდენობა განსხვავდება ინსტანციების შესაბამისად მოსამართლეთა რაოდენობისგან, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში პალატასა თუ კოლეგიაში მოსამართლეთა სიმცირის გამო სხვადასხვა კატეგორიის მოსამართლეები განიხილავდნენ იმ კატეგორიის საქმეს, რომელშიც ისინი არ იყვნენ განაწილებული. აქედან გამომდინარე, მოსამართლეთა რაოდენობა საქმეთა კატეგორიებისა თუ ინსტანციების შესაბამისად განსხვავებულია დასკვნებში მოსამართლეთა საერთო რაოდენობისგან.

[8] საანგარიშო პერიოდში წარმოდგენილი ერთი საჩივარი არ შეესაბამებოდა საქმეთა კატეგორიებს, ამდენად იგი საქმეთა კატეგორიების რაოდენობრივ ცხრილში ასახული არ არის.

2.3. სტატისტიკური ინფორმაცია სადისციპლინო სხდომების შედეგების შესახებ

საანგარიშო პერიოდში საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩაატარა 2 სადისციპლინო სხდომა. აღნიშნულ სხდომებზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ განიხილა 2018-2019 წლებში წარდგენილი საჩივრების საფუძველზე მომზადებული დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ 64 დასკვნა, აგრეთვე, 2020 წელს წარდგენილი საჩივრების საფუძველზე დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მომზადებული 50 დასკვნა.

სადისციპლინო სხდომებზე განხილული 114 დასკვნის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო 123 გადაწყვეტილება[9]. მათ შორის:

- ✓ 115 გადაწყვეტილება დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ;[10]
- ✓ 8 გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის დაწყებისა და მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის თაობაზე.

საანგარიშო პერიოდში იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ განიხილა მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ან მოსამართლის მიმართ დაწყებული დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ წარდგენილი 8 საქმე, საიდანაც იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 1 საქმეზე მიიღო გადაწყვეტილება მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ, ხოლო 7 საქმეზე მოსამართლის მიმართ შეწყდა დისციპლინური სამართალწარმოება.

- ✓ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს სადისციპლინო სხდომებზე საჩივრის ავტორები არ მიუწვევია.
- ✓ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის აცილებისა და სადისციპლინო სხდომის გასაჯაროების უფლებებით მოსამართლეებს არ უსარგებლიათ.
- ✓ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორისათვის დამატებითი მოკვლევის ჩატარება არ დაუვალებია.
- ✓ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს განსხვავებული მოსაზრება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე არ წარუდგენიათ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები

115 გადაწყვეტილება დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ	8 გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის დაწყებისა და მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიამ წარდგენილ ერთ საქმეზე მოსამართლე დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში ბრალეულად ცნო და მიიღო გადაწყვეტილება მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის სახედ საყვედურის დაკისრების შესახებ.

---

[9] დისციპლინურ საჩივარში მითითებულ მოსამართლეთა რაოდენობის მიუხედავად, დამოუკიდებელი ინსპექტორი ერთ დისციპლინურ საჩივარზე ამზადებს ერთ დასკვნას, რომელშიც თითოეული მოსამართლის ქმედებას ინდივიდუალურად აფასებს და მომზადებულ დასკვნას წარუდგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. ამასთან, დამოუკიდებელი ინსპექტორი უფლებამოსილია, ერთ წარმოებად გააერთიანოს ერთი მოსამართლის მიმართ წარმოდგენილი რამდენიმე საჩივარი. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო გადაწყვეტილებას თითოეული მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე ინდივიდუალურად იღებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივრების, წარდგენილი დასკვნებისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობა განსხვავებულია.

[10] განხილული 114 დასკვნიდან 23 საქმეზე რიგ ფაქტებთან მიმართებით არსებობდა დამოუკიდებელი ინსპექტორის რეკომენდაცია მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო 8 შემთხვევაში დაეთანხმა დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნას და დაიწყო დისციპლინური დევნა მოსამართლის მიმართ, ხოლო 15 საქმეზე დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდა ვინაიდან „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[8] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ სრული შემადგენლობის უმრავლესობით ვერ მიიღო გადაწყვეტილება.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნების განზოგადება

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტი 21 დისციპლინურ გადაცდომას ითვალისწინებს. მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ ორგანული კანონით განსაზღვრული კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის საფუძველზე, რითაც გადაცდომათა განჭვრეტადობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

დამოუკიდებელი ინსპექტორი წინასწარი მოკვლევის ეტაპზე დისციპლინურ საქმეს იკვლევს ობიექტურად და ყოველმხრივ. სწავლობს მოსამართლის პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელ, ისე დამამძიმებელ გარემოებებს. ასევე, ყურადღებას ამახვილებს ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებზე. მოსამართლის ქმედების სავარაუდო გადაცდომად შეფასებისას აუცილებელია მისი მისადაგება დისციპლინური გადაცდომის რომელიმე სახესთან.

საანგარიშო პერიოდში დისციპლინური საჩივრები შეეხებოდა მხოლოდ 11 სხვადასხვა ქვეპუნქტში ასახულ ქმედებებს.[11]

ანგარიშის წინამდებარე თავში განზოგადებულია დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მომზადებული დასკვნები საქმეთა კატეგორიების, გადაცდომებისა და საქმეზე დამდგარი შედეგების შესაბამისად. საქმეთა განზოგადება ცხადყოფს, რომ გადაცდომის სახედ საჩივრის ავტორები უმეტესად უთითებენ:

- მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევას;
- მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებას პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით;
- მოსამართლის მიერ საქმის აცილებაზე/თვითაცილებაზე უარის თქმას, როცა არსებობს საქმის აცილების კანონით გათვალისწინებული აშკარა საფუძველი;
- მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვას.

[11] ცხრილში მოცემულია ინფორმაცია საჩივრებში მითითებული დისციპლინური გადაცდომის რაოდენობის შესახებ.

112	• მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა
30	• მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით
22	• მოსამართლის მიერ საქმის აცილებაზე/თვითაცილებაზე უარის თქმა, როცა არსებობს საქმის აცილების კანონით გათვალისწინებული აშკარა საფუძველი
20	• მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვა
13	• მოსამართლის სხვა ქმედება, რომელიც არ შეეფერება მოსამართლის მაღალ სტატუსს
3	• სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას მოსამართლის სიტყვიერად ან სხვაგვარი ფორმით გამოხატული დისკრიმინაციული ქმედება ნებისმიერი პირის მიმართ ამა თუ იმ საფუძვლით
3	• სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიერ კანონის დარღვევისა და ამ პუნქტით გათვალისწინებული შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ფაქტის მოსამართლის მიერ რეაგირების გარეშე დატოვება, თუ მოსამართლე ამ ფაქტის თვითმხილველია
3	• მოსამართლის მიერ განსახილველი საქმის შედეგის წინასწარ გამჟღავნება, გარდა საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა
3	• მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის საქმიანობაში ჩარევა საქმის შედეგზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით
2	• მოსამართლის აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიერ სასამართლო პროცესის სხვა მონაწილის მიმართ სიტყვიერად ან სხვაგვარი ფორმით გამოხატული დისკრიმინაციული ქმედების მოსამართლის მიერ რეაგირების გარეშე დატოვება, თუ მოსამართლე ამ ფაქტის თვითმხილველია
1	• მოსამართლის მიერ შესაბამისი ადმინისტრაციული უფლებამოსილების, კერძოდ, სასამართლოს, სასამართლო კოლეგიის ან პალატის ხელმძღვანელის მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება

3.1. საპროცესო ვადის არსებითი დარღვევა

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 ნაწილი ადგენს ქმედებებს, რომლებიც ითვლება მოსამართლის მიერ დისციპლინურ გადაცდომად. ნორმით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახედ განსაზღვრულია მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა. დისციპლინური გადაცდომის ეს სახე აერთიანებს კანონით განსაზღვრული ვადისა და მხარისათვის გადაწყვეტილების გაგზავნისათვის გათვალისწინებული ვადის დარღვევას.[12]

დამოუკიდებელმა ინსპექტორმა საქმის მოკვლევის შედეგად, საპროცესო ვადის არსებით დარღვევად მიიჩნია მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების გამოტანის ფაქტი საქმის განსახილველად გადაცემიდან 2 წლის, 1 თვისა და 25 დღის შემდეგ. აღნიშნულ ფაქტზე მსჯელობისას დამოუკიდებელმა ინსპექტორმა ყურადღება გაამახვილა სხდომების ხანგრძლივობასა და მოსამართლის დატვირთულობაზე. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას არ ჰყავდა თავმჯდომარე, მისი წევრი კი 100-ზე მეტი პირი იყო შესაბამისად, მათთვის შესაბამისი საპროცესო მოქმედებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება თუ სხდომაზე მოწვევა ხდებოდა საჯარო შეტყობინების გზით. მოსამართლემ 5 საჯარო შეტყობინება გაავრცელა მხარეთა სხდომაზე მოწვევის მიზნით. ამასთან, ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ზოგიერთ სხდომას შორის შუალედი არაგონივრული, ხოლო სხდომების ხანგრძლივობა საათზე ნაკლები იყო (მხოლოდ 2 სხდომა გაგრძელდა საათზე მეტი დროით). ამდენად, საპროცესო ვადა დაირღვა 1 წლით, 8 თვითა და 25 დღით.[13]

დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დისციპლინურ გადაცდომად შეფასდა შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ 4 წლისა და 8 თვის განმავლობაში საქმეზე არავითარი საპროცესო მოქმედება არ განახორციელა. დამოუკიდებელი ინსპექტორის მითითებით, მიუხედავად სტატისტიკური მონაცემებისა და მოსამართლის დატვირთულობისა, კონკრეტული ვადა არ შეიძლება მიჩნეულ იქნას საქმის განხილვისათვის გონივრულ ვადად, რამდენადაც საქმის განხილვა დასკვნის მომზადების დროისთვის კვლავ არ იყო დასრულებული. საქმეში გამოიკვეთა, რომ მოსამართლემ შესაგებლის წარდგენიდან (20.11.2020 წელი) 2 წლის შემდგომ 2022 წლის 7 დეკემბერს დანიშნა პირველი მოსამზადებელი სხდომა.[14]

დისციპლინურ გადაცდომად და კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადის არსებითად დარღვევად შეფასდა შემთხვევა, როდესაც მოსამართლეს საქმე წარმოებაში ჰქონდა დაახლოებით 1 წელი და 7 თვე. ამასთან, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 1 წლის და 2 თვის შემდეგ ჩაბარდა მხარეს დასაბუთებული გადაწყვეტილება.[15]

დარღვევა ასევე გამოიკვეთა საქმეზე, სადაც საჩივრის ავტორის მითითებით მოსამართლემ არ დაიცვა საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი საქმის განხილვის ვადა, რის შედეგადაც საქმის განხილვა უკვე 3 წელია მიმდინარეობს. საქმის მასალების დეტალური გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ მითითებულ პერიოდში, მოსამართლის მიერ რაიმე საპროცესო მოქმედება არ განხორციელებულა, გარდა საჯარო შეტყობინების გზით სარჩელის მოპასუხისათვის ჩაბარების შესახებ განჩინების მომზადებისა.

დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგინდა, რომ კონკრეტული საქმე არ ხასიათდება განსაკუთრებული სირთულით, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის

---

[12] დეტალური ინფორმაცია საპროცესო ვადის არსებითი დარღვევის მოკვლევის დროს გამოყენებულ სტანდარტებზე იხილეთ დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის ანგარიშში https://dis.court.ge/wp-content/uploads/2021/03/tsliuri-angarishi_2020_geo-1-1.pdf

[13] დისციპლინური საქმე №3/22

[14] დისციპლინური საქმე №161/22

[15] დისციპლინური საქმე №88/22

ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულეებთან, ასევე, მხარეთა ქმედებები, არ იყო მიმართული საქმის განხილვის გაჭიანურებისაკენ. ამასთან, მოსამართლის წარმოებაში არსებულ საქმეთა სიმრავლე, სტატისტიკური მონაცემები, მოსამართლის წარმოებაში აღნიშნული საქმის ყოფნის პერიოდი და განსახილველ საქმესთან მიმართებით მოსამართლის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები არ იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ კონკრეტული ვადა მიჩნეულ იქნეს გონივრულად. შესაბამისად, ყველა ზემოხსენებული კრიტერიუმის მხედველობაში მიღებით გამოიკვეთა შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნები.[16]

ერთ-ერთ დისციპლინურ საქმეში, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა მიიჩნია, რომ სახეზე იყო საპროცესო ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევის ფაქტი, რადგან მოსამართლეს ადმინისტრაციულ საქმეზე არანაირი საპროცესო მოქმედება არ განუხორციელებია 1 წლის, 7 თვისა და 24 დღის განმავლობაში. ამასთან, დასკვნის მომზადების ეტაპამდე საქმის განხილვა მიმდინარეობს 1 წელი, 9 თვე და 1 დღე.[17]

შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ჩადენად შეფასდა სამოქალაქო სამართლის საქმის განხილვის ვადის დარღვევა 1 წლით, 7 თვითა და 23 დღით.[18] ასევე, 7 თვით და 25 დღით საქმის მოსამართლის წარმოებაში ყოფნის პერიოდი.[19]

აგრეთვე, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენად შეფასდა მოსამართლის მიერ სამოქალაქო სამართლის საქმის 3 წლისა და 11 თვის ვადით განხილვაც. აღნიშნულ საქმეში საჩივრის ავტორის განცხადებით, მან არაერთხელ წარადგინა სასამართლოში განცხადება საქმის დროულად განხილვის მოთხოვნით, თუმცა მიუხედავად ამისა მოსამართლე აჭიანურებდა საქმის განხილვის ვადას. საქმის მასალებით დადგინდა, რომ მოსარჩელემ სასამართლოში სარჩელი წარადგინა 2018 წლის 22 ივნისს, ხოლო მოპასუხემ სასამართლოში შესაგებელი წარადგინა 2018 წლის 24 ივლისს და 30 ივლისს. შესაბამისად, აღნიშნული საქმე მოსამართლეს წარმოებაში ჰქონდა დაახლოებით 3 წელი და 11 თვე. ამასთან, მხარემ არაერთხელ მიმართა განცხადებით სასამართლოს საქმის დროულად განხილვის მოთხოვნით, თუმცა აღნიშნულის მიუხედავად მოსამართლემ დაახლოებით 2 წლის და 7 თვის შემდეგ დანიშნა საქმეზე სასამართლო სხდომა. ამდენად, დარღვეულია არა მარტო სამოქალაქო საქმის განხილვისათვის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული 2 თვიანი ვადა, არამედ განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეების განხილვისათვის გათვალისწინებული 5 თვიანი ვადაც.[20]

ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებით, მოსამართლის მიერ საქმის განხილვისათვის განსაზღვრული საპროცესო ვადის 2 წლისა და 3 თვით დარღვევის პერიოდი არ შეფასდა დისციპლინურ გადაცდომად. საქმის მოკვლევის დროს დამოუკიდებელმა ინსპექტორმა გაითვალისწინა მოსამართლის დატვირთულობა, სტატისტიკური მონაცემები, როგორც მასზე განაწილებულ საქმეთა ისე მის მიერ დასრულებულ საქმეთა რაოდენობა, ასევე მოსამართლის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები. ამდენად, მოსამართლის წარმოებაში არსებული საქმეთა სიმრავლე, სტატისტიკური მონაცემები, მოსამართლის წარმოებაში აღნიშნული საქმის ყოფნის პერიოდი და განსახილველ საქმესთან მიმართებით მოსამართლის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები არ იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ ვადის დარღვევა ჩაითვალოს არასაპატიო მიზეზით მოსამართლის ბრალეული ქმედებით გამოწვეულ არსებით დარღვევად.

ამასთან, აღნიშნულ საქმეში დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გათვალისწინებულ იქნა ის გარემოება, რომ ამ პერიოდში მოსამართლემ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

---

[16] დისციპლინური საქმე №194/22
[17] დისციპლინური საქმე №15/22
[18] დისციპლინური საქმე №191/22
[19] დისციპლინური საქმე №34/22
[20] დისციპლინური საქმე №87/22

ასევე საინტერესოა საქმე, რომელშიც მოსარჩელე უთითებდა და არაერთი განჩინება, მათ შორის, მხარეების მიერ წარდგენილი განცხადებების საფუძველზე. საგულისხმოა, რომ საქმე რამდენჯერმე გადაიგზავნა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში მხარეთა მიერ წარდგენილი საჩივრების განხილვის მიზნით. საქმის მასალებით დასტურდება, რომ საქმის განხილვის ვადის გაჭიანურების მთავარი მიზეზი იყო ის ფაქტი, რომ ერთ-ერთ მოპასუხეს ვერ ბარდებოდა სასამართლო გზავნილები, რაზეც სასამართლოს სისტემატურად უწევდა საჯარო შეტყობინებების შესახებ განჩინებების მიღება. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობაში შეფასების საფუძველზე, არ იკვეთება მოსამართლის მიერ კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევის ნიშნები, ვინაიდან საპროცესო ვადის დარღვევა არ ყოფილა მოსამართლის ბრალეული ქმედების შედეგი.[21]

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მიერ ვადის დარღვევად არ შეფასდა საქმე, სადაც ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე წარდგენილი განცხადება მოსამართლემ განიხილა 4 თვისა და 7 დღის ვადაში.[22]

მსაგავსად ამ შემთხვევისა, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადის არსებითად დარღვევად არ შეაფასა ის ფაქტი, რომ მოსამართლეს საქმის განხილვის დაწყებიდან 2 თვის განმავლობაში ჯერ არ ჰქონდა დანიშნული სასამართლო სხდომა. კერძოდ, საქმის მასალებით დგინდება, რომ მოსარჩელემ სასამართლოში სარჩელი წარადგინა 2022 წლის 6 მაისს, ხოლო, მოპასუხემ სასამართლოში შესაგებელი წარადგინა 2022 წლის 25 მაისს. აღნიშნული საქმე მოსამართლეს წარმოებაში ჰქონდა თითქმის 2 თვე. ამდენად, საქმის განხილვის ხანგრძლივობა, არ აჭარბებდა კანონით საქმის განხილვისათვის დადგენილ ვადას. [23]

მნიშვნელოვანია, რომ დისციპლინური გადაცდომების შეფასება მოხდეს ინდივიდუალურ მოსამართლესთან მიმართებით, რადგან დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი მოსამართლეს ეკისრება მხოლოდ მის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომაზე. ერთ-ერთ საქმეში პირობითად მოსამართლე A-ს წარმოებაში ადმინისტრაციული საქმე იმყოფებოდა 4 თვე და 11 დღე, B-ს წარმოებაში - 1 თვე და 8 დღე, C-ს წარმოებაში - 6 თვე და 20 დღე, D-ს წარმოებაში - 1 წელი, 6 თვე და 3 დღე, ხოლო E-ს წარმოებაში 11 თვე და 11 დღე. ჯამში სარჩელის წარდგენიდან დასკვნის მომზადების ეტაპამდე საქმე სასამართლოს წარმოებაში იმყოფება 3 წელი, 5 თვე და 22 დღე. ზემოხსენებული მსჯელობის შესაბამისად, მოსამართლის ქმედება არა მთლიანად საქმის საერთო ვადიდან გამომდინარე, არამედ უშუალოდ მის წარმოებაში საქმის ყოფნის პერიოდით უნდა შეფასდეს, ხოლო შეფასების დროს თითოეული მოსამართლის მიერ განხორციელებული მოქმედებები უნდა იქნეს გათვალისწინებული.[24]

რაც შეეხება დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარისათვის გაგზავნის ვადას, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა აღნიშნული ვადის არსებითად დარღვევად შეაფასა მოსამართლის მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარეებისათვის გაგზავნა კანონით დადგენილი ვადის გასვლიდან 6 თვისა და 19 დღის შემდეგ.[25]

ერთ-ერთ საქმეში საქმის მასალებით დასტურდება, რომ 2021 წლის 4 მარტს სასამართლომ გამოაცხადა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, რის შემდგომაც მხარემ მიმართა სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით. მოპასუხეს დასაბუთებული გადაწყვეტილება ჩაბარდა 2022 წლის 20 ივნისს. აღსანიშნავია, რომ მოსამართლის მიერ მხარისთვის დაახლოებით 3 თვის განმავლობაში დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების ვადის დარღვევა

[21] დისციპლინური საქმე №169/22
[22] დისციპლინური საქმე №120/22
[23] დისციპლინური საქმე №118/22
[24] დისციპლინური საქმე №106/22
[25] დისციპლინური საქმე №73/22

არ შეიძლება მიჩნეულ იქნას არაგონივრულად ხანგრძლივ ვადად, ამასთან, გადაწყვეტილების დაგვიანებით ჩაბარებამ არ გამოიწვია მხარის კანონიერი უფლების შეზღუდვა - გაესაჩივრებინა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება.[26]

საბოლოოდ, მოსამართლის მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული საპროცესო ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევის ფაქტზე მსჯელობისას დამოუკიდებელი ინსპექტორი ხელმძღვანელობს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, რათა დაცული იყოს ისეთი მნიშვნელოვანი უფლება როგორიცაა გონივრულ ვადაში საქმის სამართლიანი განხილვა.

3.2. მნიშვნელოვანი საქმეები

წინამდებარე თავში წარმოდგენილია დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მიერ 2022 წელს მომზადებული დასკვნები, რომლებიც მნიშვნელოვანია პრაქტიკის განვითარებისა და პრევენციული ღონისძიებებისთვის.

დისციპლინური საქმე №168/22

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის „ვ.გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვა.

დისციპლინურ საქმეში, საჩივრის ავტორი მიუთითებდა, რომ მოპასუხე მხარე მას სასამართლო სხდომების მიმდინარეობისას მიმართავდა შეურაცხმყოფელი ფორმით და იჩენდა უპატივცემულობას, ხოლო მოსამართლემ ამ ფაქტის აღკვეთა განახორციელა მხოლოდ წარმომადგენლის მითითების შემდგომ.

დამოუკიდებელი ინსპექტორი, საქმის მოკვლევის ფარგლებში დეტალურად გაეცნო მოცემულ საქმეზე არსებულ აუდიო ოქმებს, თუმცა საქმის მასალების მოკვლევის შედეგად არ დადგინდა მოსამართლის მიერ ხსენებული ფაქტის რეაგირების გარეშე დატოვების შემთხვევა. აუდიო ოქმები ადასტურებდა, რომ მოსამართლე სხდომის მიმდინარეობისას სისტემატურად ცდილობდა სასამართლო სხდომაზე წესრიგის დაცვას, შენიშვნის ფორმითა თუ პოზიციების კორექტულად გამოხატვის მოწოდებით. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ საქმეზე მსჯელობისას, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა დისციპლინურ გადაცდომად არ შეაფასა მოსამართლის დამოკიდებულება აღნიშნული სიტუაციის მიმართ.

დისციპლინური საქმე №84/22

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის „ვ.ბ.“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვა.

დისციპლინურ საქმეში №84/22 საჩივრის ავტორი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას მოსამართლე მის მიმართ გამოხატავდა შეურაცხმყოფელ დამოკიდებულებას, ხოლო სხდომას წარმართავდა აფექტურ მდგომარეობაში, რასაც თან სდევდა მისი მხრიდან ხმამაღალი ტონით საუბარი. საჩივრის ავტორის მითითებით სხდომის დასრულების შემდგომ, როდესაც მოსამართლე მიხვდა მის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმეს, მხარეს საკითხის მოგვარების მიზნით შუამავლები გაუგზავნა.

[26] დისციპლინური საქმე №81/22

დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, საქმის შესწავლის ფარგლებში გამოკვლეულ იქნა სხდომების აუდიოჩანაწერები, რომელშიც გამოიკვეთა მოსამართლის მიერ მხარისადმი უპატივცემულობის გამომჟღავნება არაერთი დამამცირებელი ფრაზით. კერძოდ,

მოსამართლე: „გუშინ მე ღამის 2 საათამდე ვიჯექი და თქვენ სარჩელს ვკითხულობდი არანაირი სურვილი არ მაქვს ზეპირად ვისწავლო...";

მოსამართლე: „კეთილი უნდა ინებოთ და მომზადებული მობრძანდეთ სასამართლოში რა, ზეპირად ვისწავლე უკვე თქვენი საქმე და რატომ? იმიტომ რომ მოსარჩელეა უპასუხისმგებლო?...

წარმომადგენელი: „ესეთი სასამართლო არ მინახავს…"

მოსამართლე: ძალიან კარგი თუ არ გინახავთ ეხლა ხო ხედავთ"

მოსამართლე: „თქვენ ძალიან თავხედობთ… ძალიან უზრდელად იქცევით, ძალიან უპატივცემულოდ იქცევით სასამართლოს მიმართ..."

აღსანიშნავია, რომ პროცესი მოსამართლეს მიჰყავდა ზედმეტად ხმამაღალი ტონით, ხოლო მოპასუხე მხარის წარმომადგენელს მიმართავდა ფამილარულად - მხოლოდ სახელით (მოპასუხის წარმომადგენელმა სასამართლო სხდომაზე აღნიშნა, რომ პირველად ესწრებოდა სხდომას).

აქვე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მიერ სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის არქივიდან გამოთხოვილ იქნა 2022 წლის 1 აპრილს სასამართლოს შესასვლელში განთავსებული ვიდეოჩანაწერი, რათა შემოწმებულიყო საჩივრის ავტორის მიერ ხსენებული სასამართლოს შენობაში შუამავლებთან შეხვედრის ფაქტი. თუმცა, დამოუკიდებელი ინსპექტორი მოკლებული იყო შესაძლებლობას ემსჯელა აღნიშნულ ფაქტზე, რადგან ვიდეოკამერის ჩანაწერის შენახვა არსებული ჩამწერი მოწყობილობის რესურსიდან გამომდინარე მხოლოდ გარკვეული დროით ხორციელდება და მასალა არ იყო ხელმისაწვდომი.

დისციპლინური საქმე №12/22

პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის ფაქტი გამოვლინდა საქმეში, სადაც აუდიოოქმის მოსმენის შედეგად დადგინდა, რომ მოპასუხე მხარის წარმომადგენელს მოსამართლე მიმართავს შემდეგი სიტყვებით: - „გაჩუმდით.... მხარის საწინააღმდეგოდ საუბრობთ და მაგას გეუბნებით..."; „ადვოკატთა ასოციაციის წევრი ხართ?... გამოვიყენებდი ნორმას, რომლის საფუძველზე წარმომადგენლობას ჩამოგართმევდით"; - „რატომ ლაპარაკობთ თუ მნიშვნელობა არა აქვს... ვინმე გექაჩებათ ენაზე?"; - „თქვენ აფუჭებთ აქ თქვენი ზედმეტი საუბრით საქმეს"; - „არ იქნეს ჩართული მესამე პირად, ისეთი სასაცილოა პროცესუალურად, რომ მაგალითად მე, მერიდება პასუხის გაცემა ადვოკატისთვის"...

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ადვოკატისადმი მსგავსი ფრაზებით მიმართვა დაუშვებელია. მოსამართლის საქმიანობაში უფრო და უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს სოციალური კომპეტენცია. აქ პირველ რიგში მოიაზრება კომუნიკაციის უნარი, რომელსაც დღესდღეობით მოსამართლის ფუნქციებს შორის ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ. მოსამართლე უნდა დაფიქრდეს იმაზეც, თუ როგორი შეფასება/დახასიათება სურს დაიმსახუროს პროცესის მონაწილეთა მხრიდან. სასამართლოს შეუძლია გაგებით მოეკიდოს მხარის ამა თუ იმ საქციელს შეფასების გარეშე. მოსამართლე უნდა ეცადოს, რომ პროცესის ყველა მონაწილემ საკუთარი სახე შეინარჩუნოს.[27]

[27] ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში, სხდომის მართვის მხარეთა მორიგების კომუნიკაციური და სამართლებრივი ასპექტები, თბილისი 2010

დისციპლინური საქმე №127/22

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის „ვ.გ“ ქვეპუნქტის თანახმა, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება სასამართლო პროცესის მონაწილის მიერ კანონის დარღვევისა და ამ პუნქტით გათვალისწინებული შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ფაქტის მოსამართლის მიერ რეაგირების გარეშე დატოვება, თუ მოსამართლე ამ ფაქტის თვითმხილველია, მოსამართლის სხვა ქმედება, რომელიც არ შეეფერება მოსამართლის მაღალ სტატუსს.

დამოუკიდებელმა ინსპექტორმა განიხილა საჩივარი, სადაც გამოიკვეთა როგორც მოსამართლის მიერ მისი სტატუსისათვის შეუფერებელი ქმედების განხორციელების, ისე სასამართლო პროცესის მონაწილის მიერ კანონის დარღვევის რეაგირების გარეშე დატოვების ნიშნები. საჩივრის ავტორი მიუთითებდა, რომ მოსამართლემ ვერ უზრუნველყო სხდომაზე წესრიგის დაცვა.

საყურადღებოა, რომ საქმეზე გაიმართა ორი სასამართლო სხდომა, რომელთა განმავლობაშიც მხარეები ერთმანეთს მიმართავდნენ შეურაცხმყოფელი ხასიათის რეპლიკებით. სხდომათა მიმდინარეობისას სასამართლო დარბაზში იყო ხმაური და დაპირისპირება. გარკვეულ ეტაპზე ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის წარმომადგენელმა საპროცესო უფლების განხორციელების მიზნით შეითავსა მოსამართლის ფუნქცია და თვითნებურად მოითხოვა მოწმის სასამართლო დარბაზიდან გაშვება. საქმის მოკვლევის ფარგლებში დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისას იკვეთება ის გარემოება, რომ მოსამართლემ არ მოახდინა სათანადო რეაგირება მოპასუხის მხრიდან პროცესის მონაწილეების მიმართ გამოხატული უპატივცემულობის ფაქტებზე და მხოლოდ კამათში ჩართვის რამდენიმე მცდელობით შემოიფარგლა.

დამოუკიდებელმა ინსპექტორმა მხედველობაში მიიღო მოსამართლის პროფესიული ვალდებულება, შესაფერისი რეაგირება მოეხდინა სასამართლო პროცესის მონაწილის კანონშეუსაბამო ქმედებაზე და დისციპლინურ გადაცდომად შეაფასა მოსამართლის ქმედება.

დისციპლინური საქმე №59/22

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება მოსამართლის სხვა ქმედება, რომელიც არ შეეფერება მოსამართლის მაღალ სტატუსს.

აღნიშნულ დისციპლინურ საქმეში მოსამართლე თვითნებურად ჩაერთო მოწმის დაკითხვის პროცესში და ფაქტობრივად რამდენიმე წუთის განმავლობაში აწარმოებდა მოწმის დაკითხვას. საჩივრის ავტორის მითითებით აღნიშნული ქმედება შეუფერებელია მოსამართლის მაღალი სტატუსისათვის ვინაიდან ამ შემთხვევაში მოსამართლემ დაარღვია სისხლის სამართლის პროცესში არსებული შეჯიბრებითობის პრინციპი.

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურმა საჩივრის კვლევის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა შეჯიბრებითობის პრინციპის არსზე, რომელიც განმტკიცებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის პირველ ნაწილში. შეჯიბრებითობის პრინციპი მოიაზრებს იმ გარემოებას, რომ მხარეები აღჭურვილნი არიან თანაბარი საპროცესო უფლებებითა და შესაძლებლობებით. მოცემულ საჩივართან მიმართებით რელევანტურია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2021 წლის 28 დეკემბრის - გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ზღუდავს საქმის განმხილველი მოსამართლის მიერ კითხვის დასმის შესაძლებლობას. ამასთანავე, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ მოსამართლის მიერ ხსენებული უფლებამოსილების განხორციელება ეჭვქვეშ არ უნდა აყენებდეს მის მიუკერძოებლობას, კითხვის ფორმა არ უნდა მიანიშნებდეს იმ ფაქტზე, რომ მოსამართლეს არ სწამს ერთ-ერთი მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ჭეშმარიტების. ვინაიდან

მტკიცებულებათა მოპოვება და წარდგენა მხარეთა კომპეტენციაა, მათი გამოკვლევის პროცესში მოსამართლის მიერ დასმული კითხვა არ უნდა ანაცვლებდეს მხარის ფუნქციას და აკნინებდეს მის როლს ამ პროცესში.

მოცემულ შემთხვევაში მოსამართლის მიერ მოწმის დაკითხვამ შექმნა მყარი საფუძველი იმისათვის, რომ გაჩენილიყო გონივრული ეჭვი მიკერძოებულობის თაობაზე და შთაბეჭდილება, რომ მოსამართლე მეტად დარწმუნებული იყო ბრალდების ვერსიაში. აქედან გამომდინარე, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მიერ განხორციელებულმა გამოკვლევამ დაადგინა დისციპლინური გადაცდომის ჩადენა იმ ქმედების განხორციელებით, რომელიც შეუფერებელია მოსამართლის მაღალი სტატუსის მიმართ და ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნას.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის გადაწყვეტილებების განზოგადება

დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ 2022 წელს მიღებული გადაწყვეტილებების 36% მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას შეეხებოდა. აღნიშნული გადაწყვეტილებების საერთო რაოდენობა 2021 წელთან შედარებით 2022 წელს შემცირებულია 6%-ით, რადგან:

- ✓ 2021 წელს შემოსული 156 საჩივრიდან აქტის კანონიერების საფუძვლით დისციპლინური სამართალწარმოება შეწყვეტის 62 გადაწყვეტილება იქნა მიღებული.
- ✓ 2022 წელს შემოსულ 205 საჩივარზე აქტის კანონიერების საფუძვლით დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის 87 გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიდან საინტერესოა საქმე, სადაც საჩივრის ავტორი აღნიშნავდა, რომ მოსამართლემ უკანონოდ მიიღო სარჩელი წარმოებაში და მოახდინა ამ დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო სარჩელის უზრუნველყოფა.[28] კერძოდ ერთ-ერთ ასეთ საჩივარში ავტორის მიერ განცხადებული იყო, რომ მოსამართლემ საქმე განიხილა არაჯეროვნად, არ გამოიჩინა სათანადო გულისხმიერება და მიიღო უკანონო გადაწყვეტილება.[29]

ასევე, საინტერესოა დისციპლინური საქმე, სადაც მოსარჩელე მიუთითებს, რომ მოსამართლე დაეყრდნო პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების უკანონო გადაწყვეტილებებს. დამოუკიდებელი ინსპექტორი საკუთარ გადაწყვეტილებაში უთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტებას: „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება“. შესაბამისად, კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების შეფასების, ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასება. ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, შესაძლებელია დისციპლინური გადაცდომა მოიცავდეს, მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც, თუმცა ამ აქტის კანონიერების შემოწმება, სცდება დამოუკიდებელი ინსპექტორის კომპეტენციას. კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერება, რადგან ის არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს.[30]

ერთ-ერთ დისციპლინურ საქმეში საჩივრის ავტორი აღნიშნავდა, რომ მოსამართლემ უარი უთხრა მხარეს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე. ამასთან, თავად განიხილა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის განჩინებაზე წარდგენილი საჩივარი, რისი უფლებაც საჩივრის ავტორის მტკიცებით არ ჰქონდა. აღნიშნულით მოუსპო ზემდგომ ინსტანციაში საჩივრის განხილვის უფლება.[31]

კანონიერებაზე ზედამხედველობის დაუშვებლობის საფუძვლით დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდა საქმეზე, სადაც საჩივრის ავტორი უთითებდა, რომ მოსამართლემ უსაფუძვლოდ უთხრა უარი სარჩელის წარმოებაში მიღებაზე და არასწორი თარიღით ატვირთა განჩინება საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში. ამასთან, მოსამართლის თანაშემწემ არ შეატყობინა, რომ უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. საქმის მასალების მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ 2022 წლის 9 დეკემბერს სასამართლომ მიიღო განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის თაობაზე. რა დროსაც არ დარღვეულა მხარისათვის შეტყობინების გაგზავნის კანონით დადგენილი ვადა. ამასთან, მხარე ზემოაღნიშნულ განჩინებას გაეცნო საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის მეშვეობით და

[28] დისციპლინური საქმე №196/22 https://dis.court.ge/wp-content/uploads/2023/01/distsiplinuri-saqme-196-22
[29] დისციპლინური საქმე №120/19-3 https://dis.court.ge/wp-content/uploads/2023/02/distsiplinuri-saqme-120-19-3
[30] დისციპლინური საქმე №136/21-3 https://dis.court.ge/distsiplinuri-saqme-136-21-3/
[31] დისციპლინური საქმე №172/22 https://dis.court.ge/wp-content/uploads/2023/01/distsiplinuri-saqme-172-22.pdf

მისი გასაჩივრების მიზნით, 2022 წლის 14 დეკემბერს კერძო საჩივარი წარადგინა სასამართლოში. რაც შეეხება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინების საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში ატვირთვის თარიღს. აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობის თანახმად, განჩინების ელექტრონულ პროგრამაში ატვირთვა არ წარმოადგენს მოსამართლის ვალდებულებას. შესაბამისად, კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება შეუძლებელია.[32]

ერთ-ერთ დისციპლინურ საქმეში საჩივრის ავტორის უთითებდა, რომ მოსამართლემ საქმის განხილვისას არ იხელმძღვანელა შესაბამისი სამართლებრივი ნორმებით და არ გაითვალისწინა მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები.[33]

ასევე საინტერესოა საქმე, რომელშიც მოსარჩელე უთითებდა, რომ მოსამართლემ თავი აარიდა საქმის განხილვას. ის მიუთითებს, რომ სარჩელი შედგა 9 თებერვალს და ბაჟის გადახდაც ამ დღეს არსებული კურსით განხორციელდა, ხოლო სასამართლოს სარჩელი ჩაბარდა 10 თებერვალს და ამ უკანასკნელმა ბაჟი 10 თებერვალს არსებული კურსით დათვალა, რის გამოც უარი ეთქვა სარჩელის მიღებაზე. დამოუკიდებელმა ინსპექტორმა შეაფასა დისციპლინური საქმე და განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 40-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, სადავო საგნის შეფასებისას მხედველობაში მიიღება იმ დროს არსებული ფასები, როდესაც შეტანილ იქნა სარჩელი, ხოლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისას - საჩივრის შეტანის დროისთვის არსებული ფასები. ვინაიდან მოსამართლემ იხელმძღვანელა საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით დისციპლინური გადაცდომა არ იკვეთება, დისციპლინური სამართალწარმოება გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებასთან დაკავშირებით შეწყდა.[34]

[32] დისციპლინური საქმე №197/22 https://dis.court.ge/wp-content/uploads/2023/01/distsiplinuri-saqme-197-22.pdf
[33] დისციპლინური საქმე №164/22 https://dis.court.ge/distsiplinuri-saqme-164-22/
[34] დისციპლინური საქმე №27/22 https://dis.court.ge/distsiplinuri-saqme-27-22/

5. დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2022-2024 წლების სტრატეგიული განვითარების ძირითადი მიმართულებების შესრულების პროგრესის ანგარიში და სამომავლო გეგმები

წინამდებარე თავში განხილულია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2022-2024 წლების სტრატეგიული განვითარების ძირითადი მიმართულებების (*შემდგომში* სტრატეგიის დოკუმენტი) შესრულების პროგრესის ანგარიში და სამომავლო გეგმები. სტრატეგიის დოკუმენტში ასახულია დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მიერ განსაზღვრული გამოწვევები, დასახული მიზნები და განსახორციელებელი აქტივობები სამოქმედო გეგმის სახით.[35]

სტრატეგიის დოკუმენტი ითვალისწინებს ოთხ ძირითად მიზანს. მათ მისაღწევად განსაზღვრული აქტივობები და პროგრესის შეფასების ინდიკატორები კი განსაზღვრულია სტრატეგიის შესრულების მიზნით შემუშავებულ სამოქმედო გეგმაში. მოცემული ანგარიში ეფუძნება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული შესაბამისი სტრატეგიული მიზნის მისაღწევად განსაზღვრული აქტივობების განხორციელების ანალიზს:

- აქტივობა შესრულებულია, თუ მისი შემადგენელი კომპონენტების 100% განხორციელებულია;
- აქტივობა ნაწილობრივ შესრულებულია, თუ მისი შემადგენელი კომპონენტების ნაწილი მაინც განხორციელებულია;
- აქტივობა შეუსრულებელია, თუ მისი შემადგენელი კომპონენტები არ განხორციელებულა.

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური სტრატეგიული განვითარების ძირითადი მიმართულებების დოკუმენტით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობას უხდის ყველა იმ ორგანიზაციასა თუ პირს, რომელიც აქტიურად იყო ჩართული სტრატეგიის დოკუმენტით გათვალისწინებულ აქტივობების შესრულების პროცესში. მათ შორის:

- ევროპის საბჭოს პროექტს - „სასამართლოს რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“;
- საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს;
- საქართველოს იუსტიციის უმაღლეს სკოლას.

აღსანიშნავია, რომ სტრატეგიის დოკუმენტი შემუშავდა 2022 წლის მეორე ნახევარში, ხოლო ვებგვერდზე განთავსდა 2022 წლის 11 ოქტომბერს. შესაბამისად, სტრატეგიით გათვალისწინებული აქტივობების დიდი წილის შესრულება მოაზრებულია 2023 და 2024 წლებისათვის.

მიზანი №1 - დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის ინსტიტუციური განვითარება

მიზანი მოიცავს შემდეგი სახის პროგრამებს: საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწის ხელშეწყობა, შიდა რეგულაციების დახვეწა, ფინანსური შესაძლებლობების გაძლიერება. შესაბამისი პროგრამების შესრულების მიზნით კი გაწერილი აქტივობებიდან შესრულდა შიდა რეგულაციების დახვეწის მიზნით გაწერილი აქტივობები. კერძოდ, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა, 2022 წლის 17 ოქტომბერს, დაამტკიცა №26 ბრძანება „დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის დოკუმენტაციის დამუშავებისა და ინფორმაციის გაცემის წესი“. ბრძანება შეეხება დოკუმენტის რეგისტრაციის, სამსახურში შემოსული და გასაგზავნი დოკუმენტის დამუშავების, დოკუმენტების დაარქივებისა და შენახვის წესს. ასევე, დოკუმენტში ასახულია საჯარო ინფორმაციის გაცემის, გამოქვეყნებისა და დისციპლინურ საქმეზე

[35] დოკუმენტი ხელმისაწვდომია დამოუკიდებელი ინსპექტორის ვებ-გვერდზე: https://dis.court.ge/wp-content/uploads/2022/10/strategia-2022-2024.pdf

მოხელის შერჩევის წესი. აღნიშნული მიმართულია სამსახურის ინსტიტუციური განვითარებისა და საქმისწარმოების პროცესის დახვეწისაკენ.

მნიშვნელოვანია, რომ 2022 წლის 17 ოქტომბერს №27 ბრძანებით დამტკიცდა „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მოხელეების სამუშაოს აღწერილობები და დამატებითი ფუნქციების დაკისრების წესი“. აღნიშნული ბრძანება დანართის სახით მოიცავს როგორც უფროსი კონსულტანტის და კონსულტანტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ისე, ფუნქცია/მოვალეობებს. ბრძანებით განსაზღვრულია შემდეგი დამატებითი ფუნქციები:

- ადამიანური რესურსების მართვა;
- საქმისწარმოება;
- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- საინფორმაციო-საკომუნიკაციო საქმიანობა;
- სადისციპლინო სხდომის საორგანიზაციო საკითხების ორგანიზების უზრუნველყოფა;
- სტატისტიკური კვარტალური ანგარიშების მომზადება;
- საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობა;
- სამსახურის ვებგვერდისა და სოციალური მედიის მართვა;
- სამსახურის ვებგვერდზე გამოსაქვეყნებელი დოკუმენტაციის დამუშავება და განთავსება;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციის შესრულება.

დამატებითი ფუნქციების გაწერა ხელს უწყობს საქმის ოპტიმალურ გადანაწილებასა და ეფექტიან მუშაობას. აქვე, აღსანიშნავია, რომ შეუსრულებელ აქტივობებზე მუშაობის დაწყება დაგეგმილია 2023 წლიდან.

მიზანი №2 - დისციპლინური სამართალწარმოების ეფექტიანობის გაზრდა და გადაცდომების პრევენციის ხელშეწყობა

დისციპლინური სამართალწარმოების ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობა; ფიზიკური ხელმისაწვდომობის გაზრდა და განვითარება; დისციპლინური გადაცდომების პრევენციის ხელშეწყობა აღნიშნული მიზნის მისაღწევად განსაზღვრული პროგრამებია, რომელთა შესრულება დადგენილია 2023-2024 წლებისათვის.

მიზანი №3 - თანამშრომლების განგრძობადი პროფესიული განვითარების უზრუნველყოფა

2022 წელს, ორგანიზაციის „ღია სივრცე კავკასია“ ტრენერების მიერ ფონდების მოძიებასა და შედეგზე ორიენტირებულ მიდგომებზე დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის თანამშრომელთათვის, წყალტუბოში იუსტიციის უმაღლესი სკოლის ბაზაზე, ორდღიანი ტრენინგი გაიმართა. ტრენინგზე პროექტის ციკლი, საპროექტო განაცხადი და მისი ელემენტები, პროექტის ბიუჯეტი და სახელმწიფო ბიუჯეტის რესურსი, შეფასების მატრიცა და ლოგიკური ჩარჩო განიხილებოდა.[36]

2022 წელს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისათვის, ასევე, გაიმართა გუნდური შეჭიდულობის ტრენინგი. ორივე ტრენინგი ორგანიზებული და ხელშეწყობილი იყო ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის მიერ.[37]

დონორი ორგანიზაციის მხარდაჭერით თანამშრომელთა პროფესიული გაძლიერების მიზნით დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური სრული შემადგენლობით იმყოფებოდა პორტუგალიაში. სასწავლო ვიზიტის მიზანს პორტუგალიის სასამართლოს უმაღლეს საბჭოსა და სასამართლოს ინსპექტორის ფუნქციების გაცნობა, ასევე, დისციპლინურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებით მოსაზრებების გაცვლა წარმოადგენდა.

[36] https://www.facebook.com/photo/?fbid=459551526214383&set=pcb.459553456214190
[37] https://www.facebook.com/photo/?fbid=238490825122473&set=pcb.238492148455674

დელეგაცია სასამართლოს უმაღლეს საბჭოს ვიცე-პრეზიდენტმა მიიღო, რა დროსაც ვიზიტის პირველი დღეს განიხილეს პორტუგალიის სასამართლოს უმაღლესი საბჭოს ფუნქციები, კომპეტენციები და სტრუქტურა, სასამართლოებისა და მოსამართლეების საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება. ასევე, სასამართლოს უმაღლესი საბჭოს ინსპექტორის სამსახურებისა და მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხები. შეხვედრის პირველი დღე კითხვებისა და გამოცდილების გაზიარებით დასრულდა. ვიზიტის მეორე დღე დაეთმო დისციპლინური პროცედურის ყველა ეტაპს. შეხვედრა დასრულდა კითხვებით, რომლებიც შეეხებოდა, როგორც მოსამართლეთა უფლებებს დისციპლინურ სამართალწარმოებაში, ისე დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკულ ასპექტებს.

მიზანი №4 - საზოგადოების წინაშე სამსახურის ანგარიშვალდებულების გაძლიერება, ცნობიერების გაზრდა და პარტნიორებთან თანამშრომლობა

წინამდებარე მიზნის შესრულებისათვის განსაზღვრული პროგრამებია: საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება, პარტნიორებთან თანამშრომლობის გაღრმავება, საზოგადოებაში სამსახურის შესახებ ცნობიერებისა და ცნობადობის გაზრდა.

აღნიშნული მიზნის შესრულების მიზნით, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური ამუშავებს და კვარტალურად აქვეყნებს სამსახურის საქმიანობის შესახებ სტატისტიკურ ინფორმაციას.

ცნობიერების გაზრდის მიზნით დამოუკიდებელმა ინსპექტორმა სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის ჩაატარა 6 საჯარო ლექცია[38], ცნობიერებისა და სამსახურის საქმიანობის შესახებ ცნობადობის გაზრდის მიზნით ზურაბ აზნაურაშვილმა მონაწილეობა მიიღო რადიო კომერსანტის გადაცემაში „ბიზნესი და სამართალი ნინო ლიპარტიასთან ერთად“[39].

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურმა ჩაატარა ყოველწლიური ეროვნული შეჯიბრი „სამოსამართლო ქცევა და დისციპლინა“, რომელიც მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის სიმულაციას წარმოადგენს.

ეროვნულ შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად 25-მდე გუნდმა გაიარა რეგისტრაცია, რომელთაგან წერილობითი მოსაზრებები წარმოადგინა 14-მა, ხოლო ზეპირ სიმულაციაში მონაწილეობა 10-მა გუნდმა მიიღო. შეჯიბრი ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის ხელშეწყობით გაიმართა. გამარჯვებულებს როგორც ევროპის საბჭოს, ისე იუსტიციის უმაღლესი სკოლისა და დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მიერ დაწესებული პრიზები გადაეცათ.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს რომ პარტნიორებთან თანამშრომლობის შედეგად (ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში) დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური სრული შემადგენლობით იმყოფებოდა პორტუგალიაში. სასწავლო ვიზიტი 2 დღე გაგრძელდა და ვიზიტის ერთ-ერთ მიზანს თანამშრომლობის გაძლიერება და გაღრმავება წარმოადგენდა.

---

[38] https://www.facebook.com/photo/?fbid=506810401488495&set=pcb.506819518154250, https://www.facebook.com/photo/?fbid=491185893050946&set=pcb.491186823050853, https://www.facebook.com/photo/?fbid=485292720306930&set=pcb.485293033640232, https://gruni.edu.ge/main/news/1656066644?fbclid=IwAR1Bx-keAg6h9GoC_uon-jsUK7Ldbb2K8bw2Byy_WHIzk-utagaCpggWM30 https://www.facebook.com/photo/?fbid=953105252010484&set=pcb.953105332010476

[39] https://www.facebook.com/commersant.ge/photos/a.10150626473612105/10158184715492105/

6. რეკომენდაციები

პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ მიუხედავად არაერთი საკანონმდებლო ცვლილებისა რიგი საკითხები დისციპლინური სამართალწარმოებისათვის კვლავ გამოწვევას წარმოადგენს.

აქტუალობას არ კარგავს 2018-2021 წლებში შემუშავებული შემდეგი რეკომენდაციები:

- საჩივრის ავტორებისათვის დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის შესახებ ყველა სახის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების კანონმდებლობით დარეგულირების თაობაზე. კერძოდ, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურმა, 2022 წლიდან, პროცესის გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, წინასწარი მოკვლევის დასრულებისა და დასკვნის მომზადების თაობაზე საჩივრის ავტორების ინფორმირების პრაქტიკა დანერგა;
- საკანონმდებლო დონეზე დისციპლინური სამართალწარმოების ვადის ათვლის დარეგულირების შესახებ. კერძოდ, დისციპლინურ საჩივარზე ხარვეზის დადგენის და შევსების ვადა არ ჩაითვალოს დისციპლინური საჩივრის წინასწარი მოკვლევისათვის განსაზღვრულ საერთო ვადაში;
- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულებებსა და დამოუკიდებელი ინსპექტორის გადაწყვეტილებებში უზუსტობის გასწორების შესაძლებლობის ორგანული კანონით მოწესრიგების თაობაზე;
- წინასწარი მოკვლევის ეტაპზე მოსამართლის შუამდგომლობის განხილვის ვალდებულების ორგანული კანონით განსაზღვრის შესახებ;
- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის საფუძვლების საკანონმდებლო დონეზე დეტალურად გაწერის თაობაზე.

გარდა ზემოაღნიშნული რეკომენდაციებისა, 2022 წელს განხორციელებული დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში, გამოვლინდა შემდეგი საკითხი, რომელიც ასევე საჭიროებს დარეგულირებას საკანონმდებლო დონეზე. კერძოდ, დღეს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულია, რომ „დამოუკიდებელი ინსპექტორი თავის დასაბუთებულ დასკვნებსა და მოსაზრებებს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წარუდგენს.“[40] თუმცა, ორგანული კანონი მკაფიოდ არ განსაზღვრავს რა ფორმით წარედგინება დამოუკიდებელი ინსპექტორის მოსაზრებები/დასკვნები საბჭოს (წერილობითი სახით, საბჭოს სხდომაზე მოხსენების სახით თუ სხვა).

[40] „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 76[8] მუხლის პირველი პუნქტი